პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი.
7 მარტი.
1956 წ.
№ 29 (1.739)
ფასი 15 კაპ.
გამოცემის 24-ე წელი

# გამარჯვების დროშა

საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო

ГАМАРДЖВЕБИС ДРОША—орган Лагодехского райкома КП Грузии и Лагодехского райсовета депутатов трудящихся

## ქალთა საერთაშორისო დღე

ხვალ მსოფლიოს მშრომელები ორმოცდამეხუთეჯერ აღნიშნავენ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

წელს ჩვენი ქვეყნის მშრომლები ქალთა საერთაშორისო დღეს ხვდებიან ახალ ვითარებაში, როცა ფართოდ გაჩაღდა ხალხის შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიყვანა ქალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე, ყველა პირობები შექმნა ქალის აქტიური მონაწილეობისა, მათი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის გაშლისათვის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა ფრონტზე.

საბჭოთა ქალებმა გმირული შრომისა და ბრძოლის ფურცლები ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში. სამამულო ომში გმირული მონაწილეობისათვის 120 ათასი პატრიოტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 8 ათასზე მეტი ქალი დაჯილდოებულია მედლით „სამამულო ომის პარტიზანს“, ხოლო 70 ქალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. ამაზე ნამდვილად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია 300 ქალი, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოსი — 2 ათასზე მეტი, ხოლო ადგილობრივი საბჭოებისა — ნახევარ მილიონზე მეტი.

საბჭოთა ქალები აქტიურად მოღვაწეობენ მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობს 2 მილიონ 700 ათასზე მეტი ქალი.

ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ქალები დიდ როლს ასრულებენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ისინი მართავენ ტრაქტორებს, კომბაინებს, ორთქლმავლებს, ელმავლებს და სხვა. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მომუშავე ქალთა საერთო რიცხვიდან 227-ზე მეტს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

სოციალისტურ ქვეყანაში განსაკუთრებით სათუთი ზრუნვითაა გარემოსილი ქალი — დედა. ჩვენს ქვეყანაში მუშაობს დედათა და ბავშვთა დაწესებულების ფართო ქსელი, მრავალი ათასობით ქალი ატარებს გმირი დედის საპატიო სახელს, მილიონობით დედა დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლის“ მედლით. სახელმწიფო ყოველწლიურად დიდძალ თანხებს ხარჯავს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დასახმარებლად.

მამაკაცთან თანაბარი უფლებით და ყველა სხვა დემოკრატიული უფლებით სარგებლობენ ქალები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

მაგრამ სრულიად სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ კაპიტალისტურ სამყაროში. 15 კაპიტალისტურ ქვეყანაში ქალები მოკლებული არიან უფლებას მონაწილეობა მიიღონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ორგანოებში. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ესპანეთი, ირანი, ერაყი, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა სახელმწიფოები, ქალები მამაკაცებთან შედარებით 30-40 პროცენტით ნაკლებ ხელფასს ღებულობენ. უფრო მეტი, იტალიაში მთავრობის მიერ წელიწადში ორჯერ — 15 აგვისტოსა და 8 სექტემბერს დაშვებულია ბავშვთა ყიდვა-გაყიდვის ფართო ბაზრობა. ყოველივე ამ და სხვაგვარ უკულმართობათა შედეგად ხშირია დედების თვითმკვლელობის ფაქტები.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, რომელიც 1945 წელს შეიქმნა და რომელშიც 80 ქვეყნის 200 მილიონზე მეტი ქალი მონაწილეობს პირველხარისხოვან საქმედ მიაჩნია ბავშვთა დაცვა. ამ მიზნით დაწესდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

ჩვენი ქვეყნის ქალები, დარაზმული პარტიისა და მთავრობის გარშემო, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, კვლავაც იქნებიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

## რაიონის მშრომელები ახალ ვალდებულებებს იღებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების პასუხად

### მექანიზატორთა სიტყვა

დიდი ინტერესით ეცნობიან ვარდისუბნის მტს-ის მექანიზატორები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ა. სომხიაშვილმა თქვა: ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებში მოცემულია სოციალისტური [illegible] მეურნეობის ღრმა[illegible] დასახულია დიად[illegible] ამ დარგის მძლავრი აღმავლობისათვის. ძირითადი ყურადღება კვლავ მიექცა მარცვლეულის პრობლემას, უნდა გადიდდეს ტექნიკური კულტურების — შაქრის ჭარხლის, ბამბის, სელის, კანაფისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა. მან პირობა მისცა მიტინგის მონაწილეებს, რომ მიმდინარე წელს სატრაქტორო ბრიგადა ყველა დავალებას შეასრულებს 120 %-ით, მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობაში კვადრატულ-ბუდობრივად დათესავს 80 ჰექტარზე სიმინდს. ამ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია № 5 სატრაქტორო ბრიგადა.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა № 5 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ა. აჯიევმა მიიღო რა № 2 სატრაქტორო ბრიგადის გამოწვევა, თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია № 4 სატრაქტორო ბრიგადა და ვალდებულება აიღო ყველა სატრაქტორო სამუშაოთა დავალება 150 % ით შეასრულოს.

ვარდისუბნის მტს-ის მექანიზატორებმა ვალდებულება აიღეს წელს კვადრატულ-ბუდობრივად 500 ჰექტარზე დათესონ სიმინდი, გასულ წელთან შედარებით წველადობა გაადიდონ 200 ლიტრით და წარმატებით ჩაატარონ მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოები.

(ჩვ. კორ.).

### განვახორციელებთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს

პარტიის XX ყრილობის გახსნისადმი აღებული ვალდებულებები ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით გაანაღდა. პროდუქციის გამოშვების გეგმა 105%-ის ნაცვლად გაანაღდა 106,2 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვების გეგმა ფულად ღირებულებაში — 109,2 %-ით, რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 104,4%-ით, მოგების გეგმა — 104,2% ით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 6,2%-ით და თვითღირებულება შემცირდა 2,6%-ით.

ეცნობა რა ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის საქმეში ახალი მეექვსე ხუთწლედით დასახული ამოცანების შესახებ, ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა შეასრულოს თვენახევრით ადრე, პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 103%-ით, თამბაქოს რეალიზაციის გეგმა — 102%-ით. თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებით პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 0,7% -ით, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 5%-ით და სახელმწიფოს ზეგეგმით მისცეს 150 ათასი მანეთის პროდუქცია.

ახალი ვალდებულებები აიღეს ქარხნის მოწინავე მუშებმა ო. პეტროსოვმა, ვ. შუბითიძემ, ვ. არუთინოვმა, გ. მანგოშვილმა და სხვებმა.

ქარხნის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელოს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

ე. ტაბატაძე.

### მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია — ქვეყანას

დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს პარტიის XX ყრილობის მუშაობას შრომელი კოლმეურნეები. ისინი ახალი ვალდებულებების აღებით შეხვდნენ ყრილობის გახსნის დღეს — 14 თებერვალს, ხოლო 3 მარტს აქ ჩატარდა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ყრილობის მუშაობის დამთავრებას.

მიტინგზე ინფორმაცია სკკპ XX ყრილობის მუშაობის დამთავრების შესახებ გააკეთა შრომის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ა. იმერლიშვილმა, რომელმაც მიტინგის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებები.

სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა გ. სესიტაშვილმა თქვა: პარტიის XX ყრილობის დირექტივებში ახალი — მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია 1960 წლისათვის მარცვლეულის წარმოების გადიდება 11 მილიარდ ფუთამდე წელიწადში, რაც ძირითადად განხორციელდება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ხარჯზე. შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ მიმდინარე წელს პურის სათეს ფართობს 800 ჰექტარამდე გაადიდებს და თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 22 ცენტნერ ხორბალს.

მეკამეჩეობის ფერმის გამგე ს. ბლიაძემ ვალდებულება აიღო მიმდინარე სამეურნეო წელს თვითეულ საფურაქე კამეჩზე მოწველონ 1.100 ლიტრი რძე. გადიდებული ვალდებულებები აიღეს აგრეთვე მეძროხეობის ფერმის გამგე ა. ბაძგარაძემ და სხვებმა.

ო. კაკალაშვილი.

## ქართულ ენაზე ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას

სახელგამმა ქართულ ენაზე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქინფორმი).

## ზრუნვა დედისა და ბავშვისათვის

ქალაქ სტალინირში გაიხსნა ახალი სამშობიარო სახლი. იგი მოთავსებულია ორსართულიან შენობაში, კარგად არის მოწყობილი. საქართველოში შექმნილია რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს სისტემის სამშობიარო სახლების განშტოებული ქსელი, რომელთაც აქვთ დაახლოებით 3.000 საწოლი. გაიხსნა აგრეთვე ასზე მეტი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი, დაახლოებით 870 საფერშლო-სამეანო პუნქტი და ქალთა კონსულტაცია.

დედები და ბავშვები გარემოსილი არიან დიდი ზრუნვით. მარტო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აქვს 359 საბავშვო ბაგა. ახალი საბავშვო ბაგები გაიხსნა ამასწინათ რუსთავსა და ფოთში. მინდვრის სამუშაოების დროს ეწყობა სეზონური ბაგები კოლმეურნეობებში. მარტო შარშან ამ ბაგებმა მომსახურება გაუწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელთა 30 ათას ბავშვს.

რესპუბლიკაში მუშაობს დედისა და ბავშვის სამი სახლი და 13 საბავშვო სახლი. ბაკურიანში, სურამში, წაღვერში, ქობულეთში, ლესელიძეში და სხვა კურორტებზე გაიხსნა 22 სანატორიუმი ბავშვებისათვის. ასობით დედა ყოველწლიურად იმაგრებს ჯანმრთელობას ბორჯომის სანატორიუმ „ფირუზაში“.

წლითი წლობით დიდდება ასიგნობანი დედისა და ბავშვის დაცვისათვის. წელს მარტო ქალაქისა და სოფლის საბავშვო ბაგებისა და საბავშვო სახლების შესანახავად იხარჯება 41.205 ათასი მანეთი.

(საქინფორმი)

# გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის უხვი პროდუქტებისათვის

## 850 კილოგრამი რძისათვის

კოლმეურნეთა საერთო კრებაზე უდიდესი ერთსულოვნებით განვიხილეთ შრომელ კოლმეურნეთა მიმართვა სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

კრებამ კოლმეურნეების სახელით მოიწონა შრომელ მეცხოველეთა ინიციატივა და თავის მხრივ იკისრა გადიდებული ვალდებულებანი.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შეასრულოს 113 %-ით, მათ შორის ძროხის და ფურკამეჩის—100 %-ით. გაზაფხულზე მიიღოს და გ მოზარდოს 135 სული ნამატი. ერთი საფურაჟე ძროხიდან მიიღოს 850 კილოგრამი რძე, ხოლო თვითეული ფურკამეჩიდან—900 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 კილოგრამისა.

გაასუქოს 155 სული პირუტყვი და სახელმწიფოს ჩააბაროს 19,5 ტონა ხორცი.

ღორის სულადობა გაზარდოს 139 %-ით, მათ შორის დედაღორის 100 %-ით. ერთი დედაღორიდან მიიღოს და გამოზარდოს 13 გოჭი. სახელმწიფოს ჩააბაროს 68 ცენტნერი ღორის ხორცი.

110 პროცენტით შეასრულოს ფრინველთა რაოდენობის გეგმა და ერთი კვერცხმდებელი ქათმიდან მიიღოს 78 კვერცხი.

კოლმეურნეთა შორის ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს მეცხოველეობის დარგში დასახულ ამოცანათა ვადამდე შესასრულებლად.

**მ. მეტრეველი,**
კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## გურგენიანელთა პასუხი

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრებმა—გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე, მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის. ამ თაოსნობას ალფრთოვანებით ვუჭერთ რა მხარს, ჩვენი ვალდებულებანი ასეთია:

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმას შევასრულებთ 125%-ით, ხოლო ღორისას —130 % ით. ერთ საფურაჟე ადგილობრივი ჯიშის ძროხაზე მოვწველით 760 კილოგრამ რძეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 790 კილოგრამისა. ერთ დედაღორზე საშუალოდ მივიღებთ და გამოვზრდით 12 გოჭს. კვერცხმდებელი ქათმის რაოდენობას ავიყვანთ 550 ფრთამდე და თვითეული კვერცხმდებელი ქათმიდ ნ მივიღებთ 85 კვერცხს. სახელმწიფოს მივცემთ 132,5 ცენტნერ ხორცს, მათ შორის 40 ცენტნერ ღორის ხორცს.

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით 80 ჰექტარ ნაწვერალზე დავთესავთ სიმინდს, დავამზადებთ 440 ტონა სილოსს და 100 ტონა კონსერვს, მოვამარაგებთ 610 ტონა უხეშ საკვებს.

მიმდინარე წელს ავაშენებთ 100 სულის ტევადობის ტიპიურ საღორეს, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმას უზრუნველვყოფთ შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციით.

ფერმის მწყემსებისათვის ავაშენებთ საცხოვრებელ ბინას, რომელსაც უზრუნველვყოფთ ელექტროგაყვანილობითა და რადიოთი.

გვესმის რა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელობა, ფართოდ ვაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხოველეობის დარგში მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

**შ. ხარაშვილი,**
კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

## ვარდისუბნელ კოლმეურნეთა გადაწყვეტილება

სოფელ ვარდისუბნის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საერთო კრებაზე გულდასმით განიხილეს 1956 წელს მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ შრომელ კოლმეურნეთა მიმართვა რაიონის კოლმეურნეებისადმი.

მიმართვის გაცნობის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეები. მათ გაითვალისწინეს რა კოლმეურნეობის შესაძლებლობანი, ივალდებულეს:

მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის გეგმა შეასრულონ 123 %-ით, მათ შორის ძროხის— 100 %-ით. ჯიშთა გაუმჯობესების მიზნით შეიძინონ 20 სული ველის წითელი ჯიშის ძროხა. ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 950 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამისა.

ღორის სულადობის გეგმა შეასრულონ 114 %-ით, მათ შორის დედაღორისა—100 %-ით. თვითეული დედაღორიდან საშუალოდ მიიღონ და გამოზარდონ 12 გოჭი.

ცხვრის სულადობის გეგმა შეასრულონ 160 %-ით და თვითეულ ცხვარზე მიიღონ 3 კილოგრამი მატყლი.

ქათმის სულადობის გეგმა შეასრულონ 150 %-ით, მათ შორის გამოზარდონ 600 ფრთა ქათამი, 500 ფრთა ბატი და 100 ფრთა ინდაური. ერთ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღონ 85 კვერცხი.

მეცხოველეობის განვითარებისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა. კერძოდ, 140 ჰექტარ ნაწვერალზე დათესონ სიმინდი, დაამზადონ 800 ტონა სილოსი და 200 ტონა კონსერვი. 40 ჰექტარზე დათესონ ბალახი, მოიმარაგონ 500 ტონა ჩალა და ნამჯა და 100 ტონა თივა. 7 ჰექტარ ფართობზე დათესონ საკვები ჭარხალი და თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ 20 ტონა ჭარხალი, 14 ჰექტარზე დათესონ საკვები საზამთრო და თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 20 ტონა მოსავალი. დამატებით გამოყონ 100 ტონა კონცენტრიული საკვები.

პირუტყვის კარგი კვებითა და მოვლით მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს დიდად გაიზრდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

**ვ. ცხოვრებაშვილი,**
კოლმეურნეობის ვეტექიმი.



ბროდნინსკის ოლქი. ვოლკოვისკის რაიონში პირველი დენი მისცა ახალმა საშასათი კილოვატის სიმძლავრის საკოლმეურნეთაშორისო ელექტროსადგურმა. იგი მოემსახურება ხუვოროვის და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებს, აგრეთვე კოლმეურნეობებს „პრავდას", „მუტ კომუნიზმას", „სოვეტ მირას" და „ზავეტი ილიჩას". უკვე ელექტროფიცირებულია 200 მეცხოველეობისა და სამეურნეო ნაგებობა. კოლმეურნეობებში იდგმება ასამდე ელექტროძრავა.

სურათზე: საკოლმეურნეთაშორისო ჰიდროელექტროსადგური.

ფოტო ა. პერეხოდისა. საკდესის ფოტოქრონიკა.

## ნოვოსიბირსკის მეათასე კომბაინი

ნოვოსიბირსკის საწარმოები აძლიერებენ დახმარებას სოფლის მეურნეობისადმი. მეექვსე ხუთწლედის დამდეგიდან ნოვოსიბირსკის ფაბრიკა-ქარხნებმა კოოპერაციის მეთოდით დაიწყეს „სტალინეც 6" მარკის მარცვლეულის კომბაინების გამოშვება. ამ მანქანების დეტალები და კვანძები კეთდება ათობით საწარმოში.

ტურბინ-გენერატორის ქარხანამ დაამონტაჟა და აამუშავა მთავარი საამწყობო კონვეიერი. ამას წინათ კონვეიერიდან ჩამოვიდა მეათასე მანქანა.

ნოვოსიბირსკის მუშებმა და ინჟინრებმა გადაწყვიტეს 18 ათასი კომბაინი მისცენ წელს ჩვენს ქვეყანას. (საკდესი).

## საკდესის განცხადება

ამ უკანასკნელ ხანს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის (დასავლეთი გერმანია) საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ჰ. ბრენტანომ გააკეთა მთელი რიგი განცხადებანი, რომლებშიც, ეხებოდა რა გერმანიის გაერთიანების და საბჭოთა კავშირთან გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხებს, საქმეს ისე სახავდა, თითქოს გერმანიის გაერთიანება შეიძლებოდეს ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის შეუთანხმებლად და თითქოს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ელჩების გაცვლასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყოს, რომ საბჭოთა მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების საკითხზე.

ბ-ნ ჰ. ბრენტანოს ამ გამოსვლებთან დაკავშირებით საბჭოთა ავტორიტეტულ წრეებში შემდეგი განაცხადეს:

ბ-ნ ბრენტანოს ხსენებულ გამოსვლებს შეუძლიათ მხოლოდ ილუზიები შექმნან გერმანიის გაერთიანების გზების შესახებ და სრულიადაც არ უწყობენ ხელს გაერთიანების საქმის წინსვლას. საბჭოთა მთავრობა სავსებით გარკვეულად აცხადებდა როგორც ოთხი სახელმწიფოს ჟენევის მოლაპარაკების დროს, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებთან მოსკოვში მოლაპარაკების დროს, რომ იმ პირობებში, როცა გერმანიაში ჩამოყალიბდა ორი სუვერენული სახელმწიფო, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს, გაერთიანების ერთადერთი გზაა პირდაპირი მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის. თუ გერმანიაში შექმნილ რეალურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, უნდა შევიგნოთ, რომ ამ საკითხის გადაჭრის სხვა გზა არ არსებობს.

საბჭოთა კავშირს, რომელმაც ოფიციალურად ცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, არ შეუძლია გადაჭრას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რაიმე საკითხი და არ შეუძლია მის მაგიერ აწარმოოს მოლაპარაკება. ამასთან საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელიც იმის მომხრეა, რომ გერმანია გაერთიანდეს როგორც მშვიდობისმოყვარული და დემოკრატიული სახელმწიფო და რომელსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ისე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, მზად არის, თავის მხრივ, ხელი შეუწყოს იმას, რომ მათ შორის მიღწეულ იქნას საჭირო შეთანხმება. ამავე დროს სსრ კავშირის მთავრობა კვლავ ფიქრობს, რომ ის, ვინც ნამდვილად დაინტერესებულია გერმანიის გაერთიანებით, არ შეიძლება არ ესწრაფოდეს ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოებას და მათ შორის შესაბამისი თანამშრომლობის დამყარებას, რაც უპასუხებდა მისწრაფებებს თვით გერმანელი ხალხისა, რომელიც ქმედით ღონისძიებებს მოელის ამ მიმართულებით.

რაც შეეხება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხს, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ არსებობს ყველა პირობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის კარგი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. ამასთან, თუ ფედერალურ რესპუბლიკას სურს და შეუძლია განავითაროს საბჭოთა კავშირთან საგარეო ურთიერთობა, საბჭოთა მხარე მიესალმებოდა ამას და მიაჩნია რომ ამისათვის ფართო შესაძლებლობები არსებობს.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიზეზების გამო ჩნდება დაბრკოლებანი, ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის, ამასთანავე ფართო სავაჭრო, აგრეთვე კულტურული კავშირი კეთილსასურველად განვითარდება, რადგან ამას მოითხოვს ორივე ქვეყნის ინტერესები, ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესები.

## წერილი რედაქციას

### როდის გვექნება ელექტროსინათლე?

ლაგოდეხიდან წნორისაკენ მიმავალი გზატკეცილის პირას სოფელ ყარსუბნის მცხოვრებთა ბინებში არ არის ელექტროსინათლე, მაშინ, როდესაც ამ სოფლის და ბოლოკიავრების დანარჩენი ქუჩების მცხოვრებნი უზრუნველყოფილი არიან ელექტროგანათებით.

როდის გვექნება ელექტროსინათლე ლაგოდეხიდან წნორისაკენ მიმავალი გზატკეცილის პირას მცხოვრებ ყარსუბნელებს?

**ნ. ტაბატაძე,**
სოფელ ყარსუბნის მცხოვრები.

## ჩვენი სიგნალის შემდეგ

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 29 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი „საკითხი, რომელიც დაყოვნებას არ მოითხოვს", რომელშიც გაკრიტიკებული იყო განათლების რაიონული განყოფილება მშობელთა რაიონული თათბირის დღემდე ჩაუტარებლობის გამო.

განათლების რაიონული განყოფილების გამგე ამხ. გ. წოქარიშვილი გვწერს, რომ მშობელთა რაიონული თათბირის მოწვევა გავითვალისწინეთ 20 მარტისათვის.

# ქალი—კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი

★

## მოწინავე ქალები

ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში მრავალი სახელმოხვეჭილი ქალი მუშაობს, რომლებიც სამართლიანად სარგებლობენ დიდი ავტორიტეტით. ფერმენტაციო ქარხნის ტაბაკის დამამუშავებელი საამქროს მუშა ქალი ფენია ელნიაშვილი უკვე 23 წელზე მეტია, რაც ქარხანაში მუშაობს და სისტემატურად მოწინავეთა რიგებშია. მან 1956 წლის იანვრის და თებერვლის საწარმოო გეგმა 180 პროცენტით შეასრულა. მოწინავეთა პირველ რიგებში დგას აგრეთვე მქევარა მოსულიშვილი, რომელიც 180 პროცენტით ასრულებს მიმდინარე წლის ორი თვის დავალებას. კარგი მაჩვენებლებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს მთელი წლის მანძილზე ნინო წამალაძე, ფენია შუბითიძე და ნინო შაიშმელაშვილი. ისინი ყოველდღიურ დავალებას 150-170 პროცენტით ასრულებენ. ქარხანაში მრავალმა ქალმა მშრომელთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. კლუბ-ბიბლიოთეკის გამგე, მსახიობი მარო გოგოსაშვილი წიგნის აქტიური პროპაგანდისტია. ლაბორატორიის მუშაკი ნუნუ ხიზანიშვილი ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატია, მოწინავე ფერმენტიორი რაისა მაჭარაშვილი ლაგოდეხის სადაბო საბჭოს დეპუტატია.

ქარხნის მუშები ახალი შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს. ისინი დიდი ახალი საგმირო საქმით ხვდებიან ამ აღფრთოვანებით.

ბ. პეტრიაშვილი.

★

## კოლმეურნე ქალს

მინდვრის მძაფრი სურნელით
დამტკბარი ხარ, მთვრალი ხარ,
მამაკაცის მხარდამხარ შენც
კომუნიზმს აშენებ.
კოლექტივის დიდება, სოფლის
ნატვრის თვალი ხარ,
შრომის გმირს და გმირ დედას
ორდენები ამშვენებს.
სიხარულით გასცქერი ხავერდოვან
მთა-გორებს,
ჭეჭილი ზღვად ქცეულა, აგისრულდა
ფიქრები.
განახლებულ ჩვენს სოფელს უცქერ,
რა დაგაღონებს,
შენი საქმის ოსტატი იყავ, ხარ
და იქნები.
შენ გიმღერის, გადიდებს მთის
ჩანჩქერი ანკარა,
და ველებიც სულ შენთან
შესახვედრად იქტვიან,
შენმა შრომამ, გმირულმა ვილა
არ გაგვახარა,
შენი საქმის დიდებას მუნჯი
მთებიც იტყვიან.
დილით, მთლად შეუმჩნევლად
მინდვრად შემოგათენდა,
არ გეღლება არასდროს ეგ მარჯვენა
ძლიერი.
იმორჩილებ ბუნებას, მას წყალობას
სტაცებ და
ქვეყნად არვინ მინახავს მე შენზე
ბედნიერი.
მამაკაცის მხარდამხარ, დაუღალი
მარჯვენით,
გისურვებ, რომ შემდეგშიც შრომით
სჯობდე ყველასა
და მერმისაც, როგორც ნელს, შრომის
დიად ფერხულში
ახალ გამარჯვებებით შეხვდე
გამოფენასა.

ბერდია ბერიაშვილი.

★ ★



ქალი საბჭოთა კავშირში დიდი ძალაა. არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი დარგი, რომელშიც ქალები არ თამაშობდნენ აქტიურ როლს, არ იძლეოდნენ პატრიოტულ ნიმუშებს სამშობლოს სამსახურში.

სურათზე: მოსკოვის ცნობილი ქალთა ჯგუფი. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ტ. პ. ნიკოლაევა, საჰაერო ფლოტის ინჟინერ-ტექნოლოგი გ. პ. სოლოვიოვა, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 365-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ი. შიპოვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. ნ. გოგოლევა, ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის მეტროპოლიტენის წარჩინებული მემანქანე ე. მ. ხოროლეცი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი გმირი დედა ა. გ. ბალაშოვა, დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ)—სკკპ XX ყრილობის დელეგატი ფაბრიკა „პარიჟსკაია კომუნას" ოსტატი ლ. ს. საველიევა, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ცნობილი ხარატი ვ. ი. გოლანსკაია, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ქიმის რადისტი, რომელმაც 2 მილიონზე მეტი კილომეტრი გაიფრინა, ე. ა. ხოდინა, სკკპ XX ყრილობის დელეგატი კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" ოსტატის თანაშემწე მ. ტ. ტიტოვა.

ფოტო ვ. ძატიუკოვასი და ბ. ტრეპეტოვასი. საკდესის ფოტოქრონიკა.

★

## სახელოვანი ქალები

საბჭოთა ქალებთან ერთად შრომის ფერხულში აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი რაიონის ქალებიც, რომლებიც ენერგიულად შრომობენ სამეურნეო, კულტურული მშენებლობის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

ყველასათვის ცნობილია საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორების, სოციალისტური შრომის გმირების ე. კამარიძის, ტ. ლომიძის, მ. გოშაძის და სხვების სახელი. ისეთ დიდ საპასუხისმგებლო სამუშაოზე, როგორიცაა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, დაწინაურებულ იქნა მოწინავე ქალი ზ. შევლუგა. იგი უნარიანად ხელმძღვანელობს სოფელ ნაენდროვალის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობას.

მრავალი თაობა აღუზრდია საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს, ლენინის ორდენოსან ოლია შაბაზოვას, რომელიც ი. ჭავჭავაძის სახელობის ლაგოდეხის საშუალო სკოლაში მუშაობს. ამავე სკოლაში მომავალი თაობის აღზრდის საქმეს კეთილსინდისიერად ემსახურება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ბალიაშვილი. მოწინავე პედაგოგი ქალია აგრეთვე ლელიანის საშუალო სკოლის ქიმიკოსი ელ. თედევა.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს პირნათლად ემსახურებიან აგრეთვე ექიმის თანაშემწე ქალები კ. ბობილოვა, ქ. ლომბჟანიძე და სხვები.

ედ. გოგოხაშვილი.

## ქალები საკოლმეურნეო შრომის ფრონტზე

ქალთა საერთაშორისო დღეს —8 მარტს წელს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ახორციელებენ რა კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, საბჭოთა ქალები მამაკაცების მხარდამხარ იბრძვიან მეექვსე ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმების დროზე და ხარისხიანად შესრულებისათვის, მჭიდროდ ირაზმებიან ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, ქვეყნის ძლიერების, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე განხორციელებულია ქალთა პოლიტიკური და ეკონომიური თანასწორუფლებიანობა. შეიქმნა ყველა პირობა, რომ ქალმა გაშალოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი და გამოამჟღავნოს თავის უნარი. საკოლმეურნეო შრომის ფრონტზე, ისევე როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა უბანზე, საბჭოთა ქალმა თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა დედამ, როგორც შრომისმოყვარე, ენერგიულმა და შემოქმედებითი შრომის გამოჩენილმა პიროვნებამ. მან ღირსეულად დაიმსახურა ერქვას კომუნიზმის აქტიური მშენებელი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენენ ჩვენი რაიონის მშრომელი ქალები და მათ შორის სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის ქალების შრომითი საქმეები. ისინი თავდადებით იბრძვიან, რათა შექმნან სოფლის მეურნეობის სიუხვე ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში. მეთამბაქოე მარიამ შევჩენკოს, როგორც თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატს, კარგად იცნობენ არა მარტო კალინოვკელი კოლმეურნეები, არამედ რაიონის კოლმეურნეებიც. იგი ჩაბმულია საკოლმეურნეო შრომაში, მთელი მონდომებითა და შრომის სიყვარულით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას—იბრძვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების ბრწყინვალედ შესასრულებლად, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის. მ. შევჩენკოს გასულ სამეურნეო წელს მოსავლელად ჰქონდა გაპიროვნებული 0,40 ჰექტარი თამბაქო. საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულმა ადამიანმა ნაყოფიერი შრომის შედეგად ბრწყინვალე შრომითს გამარჯვებას მიაღწია საკოლმეურნეო შრომის ფრონტზე. გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მისცა 428 კილოგრამი მაღალხარისხოვანი თამბაქო. მარტო თამბაქოს მოვლით როდი კმაყოფილდება მოწინავე კოლმეურნე ქალი. იგი ყოველდღიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის სამუშაოებში. გასულ წელს 400-მდე შრომადღე გამოიმუშავა. ახლა შევჩენკო დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეგებება 8 მარტს. იგი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია.

საკოლმეურნეო შემოქმედებითი შრომის სახელოვანი გზა განვლო აგრეთვე ფროსია კონდაკოვამ, რომელიც ამ კოლმეურნეობაში მუშაობს მისი დაარსების პირველი წლებიდანვე. იგი ძველი, მცოდნე და გამოცდილი კოლმეურნე ქალია. დიდი ხანია, რაც იგი ტექნიკური კულტურის თამბაქოს მოყვანაში დაოსტატდა და კარგი გამოცდილება შეიძინა. მას გასულ სამეურნეო წელს 0,50 ჰექტარი თამბაქოს ფართობიდან სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 740 კილოგრამი თამბაქო, მაგრამ საუკეთესო მოვლით თამბაქოს სარეკორდო მოსავალი მიიღო —სახელმწიფოს ჩააბარა 1.125 კილოგრამი თამბაქოს ნედლეული. კოლმეურნეობაში გამოიმუშავა 336 შრომადღე.

მოწინავეთა შორის დასახელების ღირსია აგრეთვე ლინა ვასილევა, რომელიც თავდადებული შრომის ფერხულშია ჩაბმული და აღწევს სასურველ შედეგებს. მან გასულ წელს 0,35 ჰექტარ თამბაქოდან სამშობლოს მისცა 1.310 კილოგრამი თამბაქო, ნაცვლად 518 კილოგრამისა.

თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატია აგრეთვე კოლმეურნე ფ. ლუკიანოვა, რომელმაც 0,45 ჰექტარი ფართობიდან 1.150 კილოგრამი თამბაქოს მოსავალი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 666 კილოგრამისა.

კალინოვკელი კოლმეურნე ქალები წარმატებით ხვდებიან ქალთა საერთაშორისო დღეს —8 მარტს, კვლავ მონოლითურად ირაზმებიან ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავიანთი ნაყოფიერი შრომით იბრძვიან მშვიდობისათვის, თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მომავალი თაობის ბედნიერებისათვის.

ბ. დალენაშვილი.